რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში, კაზინოს ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

ამა ჩუენ წლის ოკტომბრის თვიდამ
უწმინდესის სინოდის ნება-დართვით
გამოიცემა ქ. ქუთაისში
მღვ. დ. ღამბაშიძის რედაქტორობით
ქართული სასულიერო გაზეთი, სახელად

«მწყემსი».

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საეკლესიო მმართებლობათა, კონსისტორიებთა და მღვდელ-მთავრებთა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქმნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა, და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი გამოვა ორ საშუალო ზომის ქაღალდის ფურცელზე.

გაზეთი გამოვა ამა წლის ოკტომბრის თვიდამ: ოკტომბერში, ნოემბერში და დეკემბერში თითო ნომერი და პირველი იანვრიდამ მომავალი წლის დამლევამდის ორ კვირაში თითოჯერ.

გაზეთის ფასი ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა—სამი მანეთი. გაზეთის ფასი ამა წლის ოკტომბრის თვიდამ მომავალი წლის დამლევამდის—ექვსი მანეთი.

ხელის მოწერა გაზეთზე მიიღება ქ. ქუთაისში: ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში: სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის იაკობ ივანეს ძის ფხაკაძისა და ამავე სასწავლებლის მასწავლებლის ესტატე ბესარიონის ძის ღამბაშიძისა-მიერ.

ქ. ტფილისში: საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორის წევრის არხიმანდრიტის გრიგორის-მიერ.

გაზეთის დაბარება წერილობით და პირის-პირ მოლაპარაკება შეუძლიან ყველას რედაქტორთან რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთის დაბარება და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:

ქართული გაზეთის «მწყემსის» რედაქციაში დაბა შორაპანს (ყვირილაში). Въ мѣстечко Шорапанъ (Квирилы) въ редакцію газеты «МЦКЕМСИ». (3—2)

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

1 სექტემბერს.

კოპენჰაგენი. 31 აგვისტოს (11 სექტემბერს). ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი და დანიის სამეფო გვარეულობის წევრნი დღეს იყვნენ საზაფხულო სამეფო სასახლეში ბერნსდორფში, სადაც დედოფალს სიყმაწვილე გაუტარებია. შემდეგ შარლოტენლუნდში—მემკვიდრე პრინცის სამყოფელში, იყო საუზმე.

პეტერბურღი. «ნოვოე ვრემიას» გაუგონია, რომ პერფილიევის საქმის შესახებ გამოძიება თავდება და სამჯავროში განხილვა შემოდგომაზედ იქნება.

ზაგრები. გლინის და პეტრინიის ახლო-მახლო ადგილებში, სადაც უწესობები ხდება, ძრიელი ჯარის რაზმები გაგზავნეს.

სიმლა. ინდიის მმართებლობამ აჩუქა ავგანიის ემირს მრავალი თოფი და პატრონები.

ვენა. ავსტრიის იმპერატორმა, 30 აგვისტოს ესპანიის მეფის პატივსაცემად გამართულს სადილზე, რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა.

პეშტი. ზაბუკოვიცში, ბანატის სამზღვარს ახლო, ჯარსა და აჯანყებულებს შორის ძრიელი შეტაკება მოხდა; ამ დროს 15 კაცი მოიკლა და მრავალი დაიჭრა.

იმ ტირაჟში, რომელიც დღეს მოხდა, უმთავრესი მოგება ერგო შემდეგ ბილეთებს მეორე შინაგანის მომგებიანი სესხისას.

| № სერიისა. | № ბილეთისა. | ჯამი. |
|---|---|---|
| 14,114 | 50 | 200,000 |
| 13,979 | 50 | 75,000 |
| 5,245 | 20 | 40,000 |
| 16,696 | 48 | 25,000 |
| 7,233 | 46 | 10,000 |
| 197 | 33 | 10,000 |
| 454 | 30 | 10,000 |
| 13,122 | 13 | 8,000 |
| 18,864 | 25 | 8,000 |
| 7,993 | 50 | 8,000 |
| 17,792 | 4 | 8,000 |
| 7,386 | 20 | 8,000 |
| 13,235 | 21 | 5,000 |
| 11,660 | 27 | 5,000 |
| 11,986 | 41 | 5,000 |
| 14,968 | 45 | 5,000 |
| 16,267 | 45 | 5,000 |
| 15,361 | 39 | 5,000 |
| 12,147 | 10 | 5,000 |
| 17,184 | 43 | 5,000 |
| 3,344 | 24 | 1,000 |
| 15,301 | 8 | 1,000 |
| 12,978 | 45 | 1,000 |
| 8,458 | 19 | 1,000 |
| 3,549 | 11 | 1,000 |
| 7,644 | 8 | 1,000 |
| 6,018 | 32 | 1,000 |
| 7,310 | 7 | 1,000 |
| 13,522 | 12 | 1,000 |
| 16,034 | 44 | 1,000 |
| 5,432 | 6 | 1,000 |
| 9,990 | 2 | 1,000 |
| 454 | 21 | 1,000 |
| 5,363 | 29 | 1,000 |
| 829 | 21 | 1,000 |
| 14,342 | 35 | 1,000 |
| 14,336 | 34 | 1,000 |
| 14,275 | 15 | 1.000 |
| 11,552 | 3 | 1,000 |
| 7,017 | 43 | 1,000 |

პეტერბურღი. ტირაჟში გამოვიდა სერიები: 232, 409, 419, 693, 1,021, 1,064, 1,172, 1,222, 1,296, 3,065, 3,120, 3,193, 3,585, 3,613, 3,651, 3,907, 3,958, 3,983, 4,016, 4,202, 4,224, 4,664, 6,094, 6,146, 6,524, 6,808, 7,075, 7,581, 7,624, 8,293, 8,300, 8,396, 8,801, 8,827, 9,570, 9,642, 9,689, 9,863, 9,921, 10,183, 10,402, 10,545, 10,902, 11,275, 11,469, 11,519, 12,769, 13,014, 13,054, 13,164, 14,691, 14,761, 15,261, 15,507, 15,748, 16,001, 16,152, 16,460, 16,534, 17,354, 17,884, 18,565, 19,006, 19,013, 19,025, 19,051, 19,178, 19,392, 19,512 და 19,722.

---

### თბილისი, 2 სეკტემბერი.

როგორც სამართალი ისე ადმინისტრაცია ერთის თვალით უნდა უცქეროდეს ყოველს წოდების კაცს. უწინ, მართალია, თავადის სისხლი ძვირად ფასობდა და გლეხისა ნაკლებად, მაგრამ ის დრო წავიდა და ეხლა თუ ამ მხრივ სამართალი სცოდავს, სცოდავს უფრო თავადის და აზნაურის საწყენლად და არა სასარგებლოდ. ეხლა თავადსა და აზნაურს უფრო მეტი სასჯელი სძევთ რომელიმე სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის, ვიდრე დაბალის წოდების წევრს. მაგრამ ადმინისტრატიულმა დაწესებულებამ ჩვენში ჯერ-ჯერობით ვერ მოიშორა უწინდელი უსამართლობა და თუ სოფელს განაჩენის ძალით ნება აქვს თავის წევრის გადასახლებისა, ეს წევრი, უეჭველად, გლეხი უნდა იყოს; სხვა წოდების წევრს სოფლის განაჩენი ვერ შეეხება.

ამ ზომაზედ ჩვენ ჩვენი აზრი კიდეც წარმოვსთქვით რამდენსამე მოწინავე წერილში და აქ დავუმატებთ მხოლოდ, რომ თუ ეს ზომა ვერ აცდენა ჩვენს ხალხს და თუ დრომდე უამზომოდ შეუძლებელია ძალზედ გავრცელებული ავაზაკობის, ცარცვა-გლეჯის და ცეცხლით წვის მოსპობა, მაშ ისევ ისა სჯობს, რომ ეს ზომა ყოველი სოფლის მცხოვრებზედ იყოს თანაბრად გავრცელებული, თავადი იქნება, გლეხი, აზნაური, თუ სამღვდელო წოდებისა. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ადმინისტრატიული გადასახლებას არაფერი მნიშვნელობა არ ექნება და ვერ შესრულდება ის განზრახვა, რა განზრახვითაც ეს ზომა დაწესებული და მიღებულია.

როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად სხვა წოდების განთავისუფლება ამ სასჯელის შიშისაგან უსამართლობა იქნება. მართლაც და ვინ არ იცის, რომ ხშირად ჩვენში უწესოების მომხდენნი თავად-აზნაურობის წევრნი არიან; ვინ არ იცის, რომ ხშირად მათი სახლი საბუდარია ყოველგვარი ავაზაკებისა და რამდენიც უნდა გზავნოთ ეს უკანასკნელნი, მაინც მათის პატრონების გავლენა თავისას იზამს და საბუდარი ახალის ყაჩაღებით აივსება, ან ციმბირიდამ გამოქცეულებით. უნდა ეს საბუდარი მოიშალოს და მაშინ მოიშლება თვით ავაზაკობაც.

ამის გამოისობით სიამოვნებით უნდა მივეგებოთ იმ ახალ ზომას, რომელიც ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო და რომლის ძალითაც სხვა წოდების პირთაც მოელით იგივე დღე, რაც გლეხებს, თუ სოფლის ფეხ-ქვეშ ქსლვას არ დაიშლიან.

შეიძლება სთქვან, ამ ზომას თავისი საფრხეცა აქვსო: თუ მთელ სოფელს მივანდობთ განაჩენის დადგენას და მავნე პირის მოშორებას, რადგან სოფელში ყოველთვის გლეხ-კაცობა ჰარბობს, შეიძლება, ეს ზომა საბტიკ ზომად გადაიქცეს და ერთის წოდებისაგან მეორე წოდების დაჩაგვრა გამოიწვიოსო; მაგრამ სოფელი ხომ უკანასკნელი ინსტანცია არ არის და მის განაჩენს მეთვალყურე ყოველთვისა ჰყავს და ეცდება; ამას გარდა შეიძლება, საქმე ისე მოხერხდეს, რომ როდესაც მაღალის წოდების პირზედ არის სჯა, მაშინ განაჩენის შედგენას უფრო მეტი სიფრთხილე ჰქონდეს, სხვა წოდებას უფრო მეტი ხმა და სხვ.

როგორც უნდა მოხდეს, მაინც ჩვენ იმ აზრისანი ვართ, რომ სოფლის განაჩენებით მარტო გლეხ-კაცების გზავნა ადმინისტრატიულის წესით და მათის წამქეზებლებისა და შემნახავებისა კი აქ დაყენება თვალსაჩინო უსამართლობაა და უნდა უეჭველად მალე მოვსპოთ, თუ კი გვინდა, რომ ჩვენს სოფლებს პატარა რიგიანობა დაეტყოთ.

## შინაური ქრონიკა

აგვისტოში მომხდარ ვაჭრობაზედ ქუთაისის საადგილ-მამულო

ბანკს მხოლოდ ერთი მამული დარჩენია გაუყიდავი იმ მამულებს შორის, რომლებზედაც გამოცხადებული იყო ვაჭრობა ვადაზე სარგებლის შეუტანლობისათვის. ეს მამული ტფილისში მდებარეობს და ბანკს დარჩენია ათას ოთხას თუმანში.

≈≈ იმ პირთა შორის, რომელთაც იმერეთში შავი-ქვის შემუშავებას მიჰყვეს ხელი, ყველაზედ კარგად მიჰყავთ საქმე თურმე აკვერინოს, სიხარულიძეს და პიოს. თვითეულს ამათგანს ამ ზაფხულს გამოუტანიათ არა ნაკლებ 300,000 ფუთისა, მაგრამ თურმე სურვილს ჯიბე არ შესწევს და მუშები ხშირად უფულობის დროს აწუხებენო. სხვა კამპანიებს კარგა ზარალი უნახავთ შავი-ქვის ძებნაზედ, მეტადრე ვახტერის კამპანიას, რომელსაც ამ საქმეზედ 90,000 მანეთამდე მიუთესნია.

ეხლა თურმე ფასი შავი-ქვისა უწინდელის კვალობაზედ დაწეულა, ასე რომ ბათუმში ფუთი ღირს 36 კაპ. და ფოთში 32 კაპ,

≈≈ სოფ. ალის მამასახლისზედ კიდევ დიდს სამდურავსა გვწერენ. ამ ბატონს თურმე ერთხელ კაცის კვლასაც სწამებდენ და საპყრობილეშიაც მჯდარა რამდენსამე ხანს. თურმე ბახუსსაც ძალიანა სწყალობს და როცა შექეიფიანდება ქუჩაში დადის და, ვისაც არა მგონია, ახალის სასჯელით დასჯას ემუქრის: «პრიგოვორს შეგიდგენებ და გარდაგასახლებო.» სოფ. ალი სახელმწიფო გლეხებით არის დასახლებული, მაგრამ ამ მამასახლისს შარშან ისე მოუხდენია, რომ სახელმწიფო მამული გამიჯვნის დროს თავის საკუთრებად შემოუყოლნია; ვისაც კი მოუნდომნია იმაზედ ხმის ამოღება, მუქარით გაუჩუმებია.

≈≈ ქუთაისის გუბერნიიდამ დიდს ქებასა გვწერენ იქაური ახალის გუბერნატორის ყურადღებისას თავის გუბერნიის საჭიროებისადმი და მართლაც ეჭირვება ყურადღება ამ გუბერნიას, სადაც გახშირებულია ყოველგვარი ავაზაკობა, ცარცვა-გლეჯა, ცეცხლით გადაწვა და სხვა ბოროტმოქმედება. მაგრამ თუ გუბერნატორს საზოგადოებამ თანაგრძნობა არ გამოუჩინა და ავაზაკებს კალთა გაძდაათვარა, ან თუ ზოგიერთი წევრი მაზრის ადმინისტრაციისა არ გამოიცვალა, მარტო გუბერნატორის ენერგია ვერას იზამს და საქმე ისევ საჭიროდ დარჩება.

≈≈ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი სმეკალოვი აცხადებს გაზ. «ნოვოე ვრემიაში», რომ მმართებლობას არავითარი განკარგულება არ მოუხდენია იმის შესახებ, რომ ქარონის—თავის ხეობის (ბათუმის ახლოა) მიწები მიეცეთ ვისმე, არც ამ მიწების დაჭერის მსურველები გამოუწვევიათ და არც არაფერი პირობები დაუდვიათ მათთვისაო. განზრახვა აქვთ და პროექტსაც ადგენენ, რომ ამ ხეობაში გამართონ სანიტარული სადგომი დაბალი ჩინებისა, და იმ კერძო პირებისა, რომელნიც გულის ტკივილით არიან ავადაო. ეს ადგილი პროფესორმა ვირხოვმაც გასინჯაო და ამ გვარი ავად-მყოფობისთვის ფრიად სასარგებლოდ იცნოვო. ამ საქმის შესახებ პროექტს თავის დროზედ მთავრობას წარუდგენენ და როდესაც ის განიხილავს და დაამტკიცებს, მაშინ საზოგადოებასაც აუწყებენო. მანამდინ კი ყველა თხოვნები, რომელთაც მიწების მიცემაზე იძლევიან, უყურადღებოდ დარჩებაო.

≈≈ სოფ. ვაყიდგან გვატყობინებენ, რომ 30 აგვისტოს წირვის უკან სოფელს ვაყაში მცხოვრების გლეხის პეტრე ნოზაძის სახლს დაეცა მეხი. სახლი მდებარეობს ტრიალს მინდორზედ. თურმე გასათხოვარი ქალი ღია კარებში მატყლსა სწეწავდა, ცოლი პაწაწას არწებდა და თვითონ ნოზაძე ბაგაზედ იჯდა და კვრინჩხსა სჭამდა. ამ დროს იჭექა: შევარდა მეხი კარებში, ქალი ბუხრისაკენ გაისროლა, ცოლს გულს შემოეყარა, ნოზაძეც დაიბნიდა, მაგრამ ყველანი გადარჩნენ და მოსურიელდენ ხალხის მეცადინეობით. მეხმა ორთითები, ფიწლები და სხვა ავეჯი ლუკმა-ლუკმა აქცია ზღვეზედ (თითქო დაუხლეჩიათ განგებაო, ისე ეყარა). ჩვენმა სოფლის ცრუ-მორწმუნე მეჭორებმა გახსნეს თავიანთი ჭორის ბოხჩა და აღარ უსვენებენ ნოზაძეს—ეშმაკი შემოგივარდა, აიყარე,—არ გახეირებსო. კარგი იქნება, რომ რომელიმე ღვთისნიერმა ჩააგონოს ნოზაძეს, რომ მართლა არ დაუჯეროს ბებრებს და არ აფუტკნოს საწყალმა გლეხმა თავის ბინადრობა.

≈≈ «კავკაზის» სიტყვით ტფილისქუთაისის ფილოქსერის კომისიას გაუსინჯავს ვენახები ახალ-სენაკის მაზრაში, აბაშას ახლო, ქუთაისში და მის მაზრაში, მაგრამ ვერსად ფილოქსერა ვერ ამოუჩენია. კომისია თურმე გვერდით აუვლის რაჭის მაზრას, რადგან ამ მაზრაში საფრთხილებელი უცხო ქვეყნის ვაზები არ არის და გადავა პირ-და-პირ ზუგდიდის მაზრაში.

## «დროების» კორესპონდენცია.

ბათუმი, 26 აგვისტოს. ამ ერთი კვირის განმავლობაში დიდ ფაცი-ფუცში ვა ჩვენი ბათუმის პოლიცია; არა-ჩვეულებისამებრ პოლიციის მოხელეები დარბიან ქუჩებში; ასუფთავებენ და სწმენდენ ქალაქის აზიურს ნაწილსაც კი, რომელიც დღემდის უყურადღებოთ იყო არა მარტო პოლიციის მხრივ, არამედ, ჩვენდა გასაოცრად, იმ ასენიზაციის კომისიის მხრითაც, რომელიც აქ შესდგა ადგილობრივი მკურნალებისგან. ერთად ერთი მკურნალი ვნახეთ ამ ნაწილში, რომელიც ათვალიერებდა თავის ნაწილს.

პოლიციის მოხელეებს უჭირავთ ხელში ჯოხები, მიადგებიან დუქნებს და ვინც არ დაასუფთავებს კარმიდამოს, რასაკვირველია, იმას ზურგს გაუჭრელებენ ჯოხით. წინად ეს ბატონები ჯოხებს მხოლოდ ქუჩაში მოჩხუბრების გასაშველებლად ხმარობდნენ.

ასუფთავებენ მხოლოდ იმ ქუჩებს, სადაც თვალი მალე შენიშნავს უსუფთაობას *). გათავდა ქუჩების წმენდა. აი რკინის გზის სტანციის წინ ამართეს ხეები, შემოსეს ფოთლებით და სხვა-და-სხვა ფერის დროშებით. აქვე დაამზადეს შუშხუნები, ერთი სიტყვით, მოემზადა ბათუმი მთავარ-მართებლის მისაღებათ რომელიც უნდა მობრძანებულიყო 24 ამ თვისას.

ღამის თერთმეტი საათი და რამდენიმე წუთია. აგერ დაიყვირა ორთქლის მატარებელმა. აუმღვრდა გული ბათუმის ბიუროკრატიას, რომლის უპირველესნი წარმომადგენლები გულის ცახცახით ელიან მთავარ-მართებლის მობრძანებას სტანციაზე. იმის მობრძანებისათანავე იჭექეს შუშხუნებმა და დაიწყეს გლაკვნა ჭაერში. მთავარ-მართებლის მოსასვენებლად წინათვე მოამზადეს ოთახები «ფრანცია» სასტუმროში, სადაც იგი მოსვლისათანავე წაბძანდა.

დილის რვა საათია. სასტუმროს კარებზე გროვდება ხალხი, ხალხის რიცხვი თან-და-თან მატულობს. ბოლოს პოლიცია ჩამოაცლის სასტუმროს კარებს უბრალო, «შავ ხალხს» და გაუფართოებს დასადგომ ადგილს მუნდიროსნებს და ფრაკოსნებს. აგერ გამოჩნდა ჩვენი «ოტსტავნოი დელი მაიორი», მუნდირით შემოსილი; ეტყობა, რომ ის ოდესმე დრაგუნის ოფიცერი ყოფილა. ეს ის მაიორი გახლავს, რომელსაც ქართველები ეჯავრება, მგონი, იმიტომ, რომ ქართველების გულუხვობით და გულწრფელობით იმდენად ვერ ისარგებლა, რომ ორი სახლის მაგივრად, რომლებიც იმან ბათუმში გადაჭიმა, სამი ან ოთხი აეშენებინა. თუ ჩვენ შორის რიგიანად ვერ მოთავსებულა, წავიდეს კანში, ან ეჩმიაძინში—ვინ იჭერს.

აი გამოჩნდა ჩვენი «ზემლემერიც», რომელსაც დღეს, როგორც დეპუტატს ქალაქისას, მუნდირის მაგივრად ფრაკი ჩაუცვამს. ეს ის «ზემლემერია», რომელიც ისე არ გაზომავს მიწას, რომ ან არ დააკლოს, ან არ მოუმატოს «შემთხვევის დაგვარად».

მუნდიროსნებში ყველაზე გვიან გამოჩნდა ჩვენი ბათუმის პედაგოგი—«რევიზორი». ჯერ მისდამი რწმუნებული სკოლა აავსავა აუარებელი დროშებით, რომლებთა შორის მოჩანდა ერთი დიდი დროშა შუაში თეთრი წმინდის გიორგის ჯვარით; რისთვის ან ვისთვის უნდოდა ეს დროშები, დღესაც არავინ იცის ბათუმში. ჩვენს «რევიზორს» ეცვა თავისი «ვიც—მუნდირი», რომელსაც ყველა იცნობს ბათუმში, რადგანაც ამ ბატონს იგი ყოველთვის და ყველგან აცვია და, მგონი, ღამეც არ იშორებს, შინდრინიისა არ იყოს.

აგერ დინჯად და ამაყურად მოგოგავს კიდევ ჩინოვნიკი მუნდირით, რომელსაც ისეთი ჩიჩახვივით ღაბაბი ჩამოუშვია, რომ გულზე [illegible] [illegible] ჭრელ-ჭრელ კალმახებსა მისი ადმინისტრაციული მოგზაურობის დროს თავის სამმართველოში, მუნდიროსნებში გერია მკურნალიც; ეს ის მკურნალია, რომელსაც ჰგონია. რომ ცხენის მძოვრის მიაზმები ჭაერს არ მოსწამლამენო,—ამიტომაც ის ყურს არ უგდებს მძოვრებს, რომლებმაც «ნურია» ერთიანად აამყრალეს, თუმცა ის «ნურიის» ასენიზატორათ ითვლება.

ცხრა საათია. მგლესიის წინ დაყენებულს ჯარებში შეიქმნა ჩოჩქოლი. აგერ გამობძანდა ამალით მთავარ-მართებელი, მიმართა ჯარს, მიემშვიდობა და გასწია ეკლესიაში, სადაც პარაკლისი გადაიხადეს. შემდეგ პარაკლისისა მთავარ-მართებელი წაბძანდა სამხედრო ქალაქის დასახედავათ, რომელიც ახლო მანძილზე უდევს ბათუმს სამხრეთით.

დარჩნენ პირ-ღიანი ჩვენი მუნდიროსნები და ფრაკოსნები, რომლებიც შემდეგ ცოტა ოდენის ფიქრისა გაიფანტნენ ტანისამოსის გამოსაცვლელად...

ეს კვირა ძალიან შემოსავლიანი კვირა იყო ჩვენი ბათუმის «ატუნკატებისათვის» მთავარ-მართებლის მობრძანების გამო; დღე და ღამე ისხდნენ და სწერდნენ არზებს და აღარ ჰქონდათ მოსვენება. ბათუმი სავსეა «ატუნკატებით»; ასე გასინჯეთ, ვინც კი წერა იცის, ყველა «ატუნკატობს»; ისეთი გემრიელი ლუკმა ყოფილა აქ ეს ხელობა, რომ ამითი სცხოვრობენ, მაგრამ ხალხი, მსხვერპლი ამათის მანქანებისა, კარგათ გრძნობს მათს და სხვების უვარგისობას; მაგრამ რა ქნას, ვის მიმართოს, თუ არ იმათ (ჰმ, დრონი მეფობენ). თუ რა შეხედულობა აქვს ხალხს ამათზე, აი ნიმუშად სიტყვები ერთი მაჰმადიანი ქართველისა, რომელსაც არზა ეჭირა ხელში მთავარ-მართებელთან მისართმევად და გულ-ამოსკვნით იძახდა: «ენა არ ვიცით, როგორ გავაგებინოთ ჩვენი დარდები მთავარ-მართებელს; რა ვიცით ამ არზაში რა სწერია, რა ვიცით, როგორ უთარგმნიან მას ჩვენ აზრებს მთარგმნელები, რომელთაც, როგორც კოწია ერისთავის საქმიდგან დავინახეთ, არც რუსული იციან, არც ქართული და არც თათრული».

დღეს დილით მთავარ-მართებელი წაბძანდა ბათუმიდგან თბილისს.

*) რკინის გზის ახლოს ჩემი თვალით ვნახე ერთი უშველებელი მკვდარი ქოფაკი ძაღლი. რა უყვეს მას, არ ვიცი; თუ ნახეს, ფოთლებით დამალავდენ....

## სასამართლოს ქრონიკა.

სხდომა 1 სექტემბერს სამხედრო სასამართლოში შესახებ არტილერიის კაპიტანის მიშჩენკოსაგან თბილისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელის ბ. მაშარსკის მოკვლისა.

საქმე უნდა დაწყობილიყო დილის ათ საათზე, მაგრამ კაპიტან მიშჩენკოსაგან ავად-მყოფობის გამოცხადების გამო, რომელზედაც ტფილისის სამხედრო სამკურნალოს ექიმების მოწმობა წარმოადგინა, გადაიდო საღამოს 6-ის საათისთვის. სასამართლომ მიანდო რამდენიმე ექიმს და განსაკუთრებით ამ საქმისთვის შედ-

გენილს კომისიას, საღამომდინ გაესინჯათ კაპიტანი მიშჩენკო და თუ დარწმუნდებოდენ — მიშჩენკო ისე კარგად იყო, რომ პასუხების მიცემა შესძლებოდა, დანიშნულ დროსთვის ამოეყვანათ.

საღამოს 6-ს საათზედ. ამ საქმემ ხსენებულს სასამართლოში დიდი ხალხი მიიზიდა და ათის წუთის შემდეგ ფაეტონით მოიყვანეს მიშჩენკო.

ბრალდებული შუა ტანზედ უფრო მაღალია, მხარ-ბეჭი გადგმული აქვს, გული ფართო, ამომჯდარი და ძარღვიანი. შუბლი დაბალი, ტუჩები თხელი, სახე სწორე, ცოტათი მოგძელო, წარბები ხშირი. ხმა ბუნებითვე ცოტათი წასული აქვს, მაგრამ მკაცრი; ლაპარაკში ჩქარ-ჩქარა ჩერდება და მოთმინებას ადვილად ჰკარგავს. ფერ-მკრთალია, აღელვებული; ფაეტონიდგან ყაზახის შემწეობით ჩამოვიდა და სანამ სასამართლოში შევიდოდა, რამდენჯერმე წაბარბაცდა.

სხდომა გაიხსნა 6 საათსა და 15 წუთზედ და მოწმების ჩვეულებრივის შემოწმების შემდეგ, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ ერთი უმთავრესი მოწამე აკლდა, ბაასი იმაზედ ასტყდა: შეიძლებოდა უ-ამ მოწმოთ საქმის გაგძელება, თუ არა? მსაჯულებმა გადა წყვიტეს, რომ შეიძლებაო.

ბამამტყუვნებელის აქტის წაკითხვის შემდეგ, ბ. მიშჩენკო სასამართლოს ისევ თხოვნით მიექცა, რომ სამიოდ დღეს გადაედოთ ეს საქმე, რადგანაც ბრალდებული ამტკიცებდა, რომ ის ავად არის და ავადმყოფობის მიზეზისაგანვე ვერ მოასწრო გამამტყუვნებელი აქტი წაეკითხა და საქმე წესიერად შაესწავლა.

«ამასთანავე, დაუმატა ბ. მიშჩენკომ, — კაცს, რომელსაც ოცი წლის «კატორგა» მოელის, იმედი მაქვს თავის დასაცავად უკანასკნელს საშუალებაზედ უარს არ მეტყვით».

ბრალდებულმა და მისმა ვექილმა ბ. ჩემისოვმა ამაზედაც უარი მიიღეს.

თავმჯდომარემ გამამტყუვნებელი აქტის წაკითხვის შემდეგ, პირველი სიტყვა ბ. მიშჩენკოს მისცა და დაუმატა, თუ ბრალდებული თავის თავს სუსტათა გრძნობს, შეუძლიან დაჯდეს და ისე ილაპარაკოსო.

მიშჩ: (აღელვებული და ხმის კანკალით სიტყვები უწყდება.) მე რამდენიმე ამხანაგით ვიჯექ ბალს «იტალიაში» და ყურს ვუგდებდი მომღერალ ქალებს (არფიანკებს.) მეორე სტოლთან ისხდენ მაშარსკი და მისი ორი ამხანაგი. საზოგადოება ბევრი იყო და, ქალების მღერის დროს, ზოგნი ტაშს უკრავდენ, ზოგიც შემოღებულის ჩვეულებით ჰკიცხავდენ. ჩვენც ვკიცხავდით... მაშარსკის ერთი ამხანაგი ადგა და დაუწყო ლაპარაკი ჩემს ამხანაგს, რომელიც თავის მხრითაც წამოდგა... ორნივ გაგვაშორდენ და ცალკე გავიდენ... მაშინ მაშარსკი წამოდგა და გაემართა მოლაპარაკეთა მხარეს. როდესაც მე გამისწორდა, ვუთხარ, იმ მხარეს ნუ მიდის და მოლაპარაკეთ თავი დაანებოს. მაშარსკიმ მკითხა: «შენ რა გინდაო»? ამაზე შევყევით ერთმანერთს და მე სულელი დავარქვი, რაზედაც იმან მიპასუხა: «შენ თითონ ხარ სულელიო». მე ოფიცერი ვარ, გიორგის კავალერი, კორპუსიდგანვე ჩვენ სისხლსა სთვისდება აზრი, რომ ამ ვვარი წყენა არავის შეუძლიან... ჩვენ ჯარის ხალხი ვართ. მე ხელი ვკარი, რადგანაც ძალიან ახლოს მოვიდა ჩემთან, და იმან ქოლგა დამკრა, არ ვიცი რა მიზეზით... მე გიორგის კავალერი ვარ, ჩვენს ოფიცრობაში სრულიად სხვა აზრი არის შემდგარი ამ ორდენზედ... ამ წუთიდგან ან მე უნდა მომკვდარიყავ, ან მაშარსკი... ხალხი აირია და მაშარსკი ველარ ვიპოვე... იმისმა ამხანაგებმა დამალეს იმის სახელი და გვარი; არც ბ. მაშარსკის სადგური მითხრეს... მაშარსკი ხელით შემეხო, მე გიორგის კავალერი ვარ... ჩვენში ერთ-ერთი უნდა მომკვდარიყო... მეორე დღეს გავუგზავნე სეკუნდანტები და დუელში გამოვითხოვე, მაგრამ უარი შემომითვალეს, რადგანაც ვითომც რაღაცა ამაღლებულის აზრებით ხელმძღვანელობდენ...

ასე ლაპარაკობდა კაპიტანი მიშჩენკო, რომლის სიტყვებიდგანაცა სჩანს, რომ ყოველი ღონის-ძიება ეხმარა, მაშარსკი დუელში გამოსასვლელად დაეთანხმებინა.

«მე ვადას ვაძლევდი, თუ სროლა არ იცოდა, ესწავლა, ორ სროლასაც-კი ვაძლევდი წინა; მაგრამ ყველაფერზედ უარს მეუბნებოდენო».

როდესაც ალარა გაეწყორა კაპ. მიშჩენკოს, ის დასთანხმდა შერიგებაზედ, მხოლოდ ითხოვდა, რომ მაშარსკის იტალიის ბაღში, სტუმრების დასწრებით, დასამცირებელი ბოდიში მოეხადა, მაგრამ მაშარსკი არც ამას დასთანხმდა. მაშინ მიშჩენკომ გადაწყვიტა თავი მოეკლა. ამ აზრით გამოართვა მიხაილოვს რევოლვერი და წავიდა მუშტაიდის ბაღში. გზაში იფიქრა, რომ თავის მოკვლით შემწიკლულს სახელს ვერ გასწმენდა, «რადგანაც — ამბობს ბ. მიშჩენკო — იტყოდენ, წავიდა ბაღში, სცემეს, გამოითხოვა დუელში, არ გაჰყვნენ, წავიდა სულელი და თავი მოიკლა. გზაც ეგ იყოვო!»

**(შემდეგი იქნება).**

## რუსეთი

რუსულ გაზეთს «Новости»-ში სწერია: «იმ უცხო ტომთა შორის, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, ბევრსა აქვს ნება უკმაყოფილონი დარჩნენ ჩვენის გარევით მათს შინაგანს ცხოვრებაში. მათს ცხოვრებაში ჩვენი გარევა ჩვეულებრივი მოვლენაა. რადგანაც ამას ყოველთვის სახელმწიფო საჭიროება არა თხოულობს, ამისთვის უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნაირი ჩარევა წარმოსდგება ან ჩვენის გაუგებრობით, რადგანაც ძალიან მცირედ ვიცით სარწმუნოებრივი და შინაურის ცხოვრების ვითარებანი იმ უცხო ტომთა, რომელნიც ჩვენი ქვეშევრდომნი არიან, და ან გვინდა მათი მოთვისება და ძალის-ძალათ განათლება.

«არ ვიცით, საიდგან შესდგა აზრი, რომ აღმოსავლეთში განათლების გავრცელება ჩვენი ვალია. გეოგრაფიული მდებარეობა ჩვენის სამშობლოსი, რომელიც თითქოს შუამავალია ევროპასა და აზიას შორის, უფრო აცხოველებს ჩვენში ამ აზრს. რაკი ამისთანა აზრი გვაქვს ჩვენს თავზედ შედგენილი და ნებით თუ უნებურად გვიკისრნია აღმოსავლეთში განათლების გავრცელება, ბეჯითად და გარკვევით უნდა მოვკიდოთ ხელი ამ ჩვენს ვალდებულებას. პირველად ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ვალდებულებაა გავაბედნიეროთ ის ხალხნი, რომელნიც ჩვენ მივიღეთ ჩვენის მფარველობის ქვეშ და ვეცადოთ მათს გაუმჯობესობას მატერიალურის და ზნეობითის მხრით. ამ ვალდებულების შესასრულებლად ჩვენ უნდა შევისწავლოთ ამ ხალხთა მოთხოვნილება, ჩვეულება და რწმუნება და ისეთი რამ არაფერი უნდა ჩავიდინოთ, რაც ამ რწმუნებისა და ჩვეულებისათვის ცუდი იქნება, თუ გვინდა, რომ იმ ხალხთა ჩვენს კეთილს განზრახვას და სურვილს ცუდის თვალით და უკმაყოფილოდ არ უცქირონ. რადგანაც ჩვენს თავს ამ უცხო ტომთა გამანათლებლად ვრაცხავთ, ამისათვის ჩვენი მეცადინეობა ის კი არ უნდა იყოს, რომ წავართვათ მათ მათი ეროვნება, რაც ჩვეულებისამებრ ძალითა ხდება ხოლმე, ვალაპარაკოთ იგინი მათთვის გაუგებარს ენაზედ და სხვა, არამედ უნდა ვეცადოთ მათს შინაგანს ცხოვრებაში ნელ-ნელა და ძალა-დაუტანებლად შევიტანოთ ჰუმანიური თვისებანი, და მათის სარწმუნოების და ჩვეულების პატივის ცემით გავაწყოთ მათი ცხოვრება.

«ნამდვილად ეს თვისება აქვს ჩვენს მოქმედებას? ასე გვესმის ჩვენი მოვალეობა? საუბედუროდ, არა.

«რომ გადავსინჯოთ ისტორია — თუ ჩვენ როგორ ვეპყრობოდით უცხო ტომთა — დავინახავთ, რომ ჩვენს პოლიტიკაში არავითარი გამორკვეული აზრი და წესი არა ყოფილა და ჩვენი მოქმედება მათ შესახებ დროთა მიხედვით იცვლებოდა და ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. რადგანაც ჩვენ უცხო ტომთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად არავითარი წესი არა გვქონდა, ამისათვის ხშირად ვცდილობდით ხოლმე რომელიმე ტომის გადაგვარებას. ეს ჩვენი განზრახვა მხოლოდ ოცნება იყო, რადგანაც არას გზით ამის შესრულება არ შეიძლებოდა. ისტორიაში მხოლოდ ორი მაგალითია ცნობილი შესახებ სხვა-და-სხვა ტომის ერთად შეერთებისა და გადასხვაფერებისა; ესენი არიან ანგლოსაქსები ბრიტანიაში და არაბები ჩრდილოეთის აფრიკაში. მათი გადასხვაფერებაც მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ სხვა-და-სხვა გარემოებამ ხელი მოუმართა.

მაშასადამე სახელმწიფოს ვალდებულება ის კი არ არის, რომ როგორც უნდა ისე გადაასხვაფეროს რომელიმე ტომი. ამ ნაირი განზრახვა და მოქმედება დრო არის დავივიწყოთ, რადგანაც ამათ სახელმწიფოსათვის ვნების მეტი არა მოაქვთრა.

## უცხოეთი

— გაზეთები გვაცნობებენ, რომ ვენგრიის მინისტრ-პრეზიდენტს ტისას ჰქონია მოლაპარაკება ვენაში ავსტრიის მინისტრებთან, მაგრამ ვერაფერი ვერ გარდუწყვეტიათ. მოელიან გრაფ კალნოკის, რომლისგანაც იმედი აქვსთ, რომ, ზალცბურგში თავად ბისმარკთან მოლაპარაკების შემდეგ, საქმეს გარდაწყვეტს. ვენგრიის მმართებლობას განზრახვა აქვს ხორვატიაში, რაც შეიძლება, ენერგიულად იმოქმედოს. მაგრამ ხორვატიაში საქმეები ისეთს მდგომარეობაში არიან, რომ ვენაში და, განსაკუთრებით, პეშტში ძალიან შეწუხებულნი და შეშინებულნი არიან. «ზაგრების გაზეთი» იწერება, რომ გლეხების მოძრაობა ზაგორიაში პირველად ვენგრიის წინააღმდეგ იყო მიმართული და ეხლა-კი სხვა ნაირი, უფრო საშიში ხასიათი მიიღო. თვით ზაგრებში მცხოვრებლებს სურთ დემონსტრაცია მოახდინონ წინანდელი გერბების აღდგენის წინააღმდეგ და თავიანთ სახლებზე სამგლოვიარო დროშები ჩამოჰკიდონ. ბანს პეიაცევიჩს ყველა კუთხეებიდამ დიდი თანაგრძნობის ადრესები მისდის. ყველა სერბიის გაზეთები სწუხან გრაფი პეიაცევიჩის სამსახურიდამ გამოსვლას, ურჩევენ სერბიელებს შეურიგდნენ ხორვატელებს და მათთან ერთად დაიცვან სერბიის სახალხო ინტერესები.

— ერთს ამერიკელს გაზეთში დაბეჭდილია გამოჩენილის მწერლის ერნესტ რენანის საუბარი იმავე გაზეთის კორესპონდენტთან შესახებ საფრანგეთის თანამედროვე პოლიტიკისა. «ჩემის აზრით, ამბობდა რენანი, საფრანგეთი შეესწრო ძნელს პოლიტიკურს მდგომარეობას; მე არ ვლაპარაკობ საფრანგეთის სამეფო ტახტის მეძიებლებზე, მაგრამ როგორც ნაპოლეონ მესამეს შვილის სიკვდილმა მოაკლო ბონაპარტისტების პარტიას რიგიანი წარმომადგენელი, იმ ნაირადვე ეხლა შამბორის სიკვდილმა ბოლო მოუღო მონარხიულს ლტოლვილებას». შემდეგ გამოჩენილი მეცნიერი განაგრძობს, რომ გერმანიის ეხლანდელ პოლიტიკას, იმის აზრით, საშიშარი ხასიათი აქვს; მხოლოდ მოხუცს იმპერატორს შეაქვს მშვიდობიანობის ელემენტი გერმანიის პოლიტიკაში, მაგრამ ის ეხლა ისეთს ხანშია, რომ მისი სიკვდილი ყოველთვის მოსალოდნელიაო; ესპანიის ხელმწიფის მისვლა კი ბერლინში შემდ-

გენს ნემეცების არა მშვიდობიანის პოლიტიკის შედეგსაო; ამისათვის დიდი შეცდომა იქნება საფრანგეთის მხრით რიუიცა-ზორილიას განდევნა საფრანგეთიდგან. იტალია კი, რენანის აზრით, უსათუოდ ისარგებლებს შემთხვევით და დაუმტკიცებს საფრანგეთს თავის უმადურობას. ავსტრია ბევრად არ დაეძებს ამ საქმეს. საფრანგეთის შინაურს მდგომარეობაზე რენანმა სთქვა, რომ ძნელი გამოსაცნობია, იქნება თუ არა საფრანგეთში რევოლიუცია. თვით პარიჟი აძნელებს საქმეს, რადგანაც თვით-მმართველობის და მმართებლობის შორის მუდმივ ხდება განხეთქილება და პირველი ემუქრება მეორესა. რევოლიუციონური პროპაგანდა რომ შემთხვევითი მოვლენა იყოს ან და ის მომდინარეობდეს პროვინციიდამ, მაშინ საფრანგეთის მდგომარეობა საშიში არ იქნებოდა; მაგრამ რადგანაც რევოლიუციონური პროპაგანდა ბუდობს თვით პარიჟში, ამისათვის ქვეყნის მშვიდობიანობას მოელის ხიფათიო. როცა რენანმა საუბარი გაათავა, მან დასწერა კორესპონდენტისათვის შემდეგი: «ნეტავი შესაძლებელი ყოფილიყო, რომ ამერიკელი რესპუბლიკა ჩვენთვის თავისუფლების და წესიერების მაგალითი იყოს! თქვენი მდგომარეობა ბევრად უფრო მოხერხებულია და მარტივი, ვიდრე ჩვენი, რადგანაც თქვენ ხართ ერთი თქვენს ხმელეთზე, ჩვენ კი შევადგენთ მხოლოდ ერთს ნაწილს ევროპისას, რომელიც სრულებით სხვა წესს ადგია, ვიდრე ჩვენ. მაგრამ იმედი ვიქონიოთ. ე. რენანი».

## განცხადებანი

ქალაქ ქუთაისში იესე კუჭავას მაღაზიაში მიღებულია გარეშე ქვეყნიდგან მრავალ გვარნი რკინის კრავოტები სხვა-და-სხვა ზომის (односпальные и двуспалные) ძრიელ მშვენიერნი და აგრეთვე იაფნი. (5—1)

---

**500 კრავოტი.**

კრავატების ყიდვამდის, სასარგებლოა და კეთილ-გონიერებაც მოითხოვს ინახოს რაოდენობა ინგლისის მაღაზიისა, არკადის გალერეაში №№ 156, 157, 158 და 160 და ამ ნომრებს ყურადღება მიექცეს.

---

**ა. მირზაშვილის**

**რეპეტიციის და მოსამზადებელი კლასები**

აცხადებენ, რომ მიღება მოწაფეებისა იქნება **22** აგვისტოდამ და სწავლა პირველს სექტემბრიდამ. ადრესი: გრიგოლ სოლომონის-ძის აბესალომოვის სახლებში, ოზმჩესტვენის ქუჩაზედ, ეგზარხის მოედნის მახლობლად. (20—15)

# მდგომარეობა

ანგარიშთა ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა, 1 ივლისს 1883 წლისა.

**აქტივი.**

| წოდება ანგარიშთა. | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| **ხანგრძლივნი სესხნი:** | | | |
| ა) სასოფლო ადგილ-მამულზე, $43^1/_2$ წლით | 954,800 | | |
| ბ) ქალაქის მამულებზე. $18^7/_{12}$ » | 2,789,400 | 3,744,200 | |
| გ) მოკლე-ვადიანნი, 3 » . . | | 94,715 | |
| ვადაზე გადასახადი ფული, რომელსაცა აქვს ლგოტა | | 183,552 | 38 |
| ვადას გადაცილებული გადასახადი . . . . | | 101,307 | 07 |
| დასაბრუნებელი ხარჯები . . . . . | | 27,568 | 20 |
| **მიმდინარე ანგარიშები:** | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში . . . . . | 27,695—63 | | |
| ბ) თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში. . . . . | 31,183—23 | | |
| გ) თბილისის სავაჭრო ბანკში . | 110—78 | 58,944 | 64 |
| საწევრო ფული თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში . . . . . | | | 30 |
| **ბანკის საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები:** | | | |
| ა) სახელმწიფონი, შენახულნი სახელმწ. ბანკის თბილისის განყოფილებაში (292,000) | 268,917—49 | | |
| ბ) სხვა გვარი სარგებლიანი ქაღალდები (43,000) . . . . . . . | 38,773—65 | 307,691 | 14 |
| სარგებლიანი ქაღალდები საზოგადო საჭიროებათა თანხისა (8,100) . . . . . . | | 7,452 | |
| სარგებლიანი ქაღალდები სასტიპენდიო თანხისა (8,700) . . . . . | | 7,812 | 18 |
| გირავოს ფურცელნი, საკომისიოდ მიღებულნი (393,000) . . . . . | | 314,880 | ,, |
| კუპონებში გადახდილი ფული. . . . | | 115,989 | ,, |
| ტირაჟში გამოსულს გირავოს ფურცლებში . . | | 52,800 | ,, |
| გირავოს ფურცელნი, მოსასპობლად შემოსულნი . | | 10,100 | ,, |
| სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . | | 8,620 | 11 |
| ხარჯები ბანკისა მმართველობაზე და სხვა რამეებზე | | 17,318 | 86 |
| ,, ,, მოწყობ-მორთულობაზე . . | | 2,661 | 43 |
| **კასსა:** | | | |
| ნაღდი ფულით . . . . . . . | | 26,688 | 81 |
| გირავოს ფურცლებით . . . . . | 99,700 | | |
| გასაცემი სესხები . . . . . . | | 16,000 | ,, |
| სულ . | | 5,098,330 | 82 |

შენიშვნა. გირავოს ფურცელნი შესანახავად . . 30,600

**პასივი.**

| წოდება ანგარიშთა: | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ძირის თავნი. . . . . . . | | 491,280 | 16 |
| სათადარიგო თანხა . . . . . . | | 28,658 | 57 |
| საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი თანხა. . . . . . . | | 39,509 | 14 |
| სასტიპენდიო თანხა . . . . . . | | 8,105 | 81 |
| **მსვლელობაში მყოფნი გირავოს ფურცელნი:** | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანნი . . . | 954,800 | | |
| ბ) $18^7/_{12}$ ,, . . | 2,789,400 | 3,744,200 | ,, |
| **თავნის მოსასპობი თანხა:** | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანნი . . | 3,072—15 | | |
| ბ) $18^7/_{12}$ ,, . . | 53,115—56 | 56,187 | 71 |
| **სარგებლის თანხა:** | | | |
| ა) $43^1/_2$ წლიანნი . . | 28,635—75 | | |
| ბ) $18^7/_{12}$ ,, . . | 83,213—02 | 111,848 | 77 |
| ყოველ-წლიური შემოსატანი ფული შესადგენელად საძირო და სათადარიგო თანხათა და სხვ. . | | 40,380 | 75 |
| სარგებელი მოკლე-ვადიანთა სესხთა . . . | | 5,143 | 71 |
| ერთ-დროებითი შემოსატანი ფული . . . | | 3,552 | 23 |
| ჯარიმა . . . . . . . | | 6,556 | 67 |
| სხვა-და-სხვა სარგებელი . . . . | | 9,621 | 21 |
| გადასაცემი ფული. . . . . | | 1,964 | 41 |
| ტირაჟში გამოსულნი გირავოს ფურცელნი . . | | 110,200 | ,, |
| ფული, გადადებული კუპონების საზღვევლად. . | | 218,286 | ,, |
| **ვადას-გარეთ მოსასპობელი სესხი:** | | | |
| ა) გირავოს ფურცლებით . . . . | | 10,100 | ,, |
| ბ) ნაღდი ფულით . . . . . | | 364 | 26 |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები . . . . | | 6,877 | 20 |
| ღერბის ხარჯები . . . . . | | 41 | 10 |
| კომისია და კურტაჟი . . . . | | 85 | 16 |
| ბანკის კორესპონდენტები . . . . | | 186,642 | 37 |
| ცეცხლის ზარალი . . . . . | | 2,725 | 59 |
| გასაცემი გირავოს ფურცელნი . . . | | 16,000 | ,, |
| სულ . . | | 5,098,330 | 82 |

(1—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 2 Сентября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი